

სტუ-ს სტუდენტთა კონტინენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია

მუხლი 1. სტუ-ს სტუდენტის სტატუსის მინიჭება

- 1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – სტუ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვა სტუ-ში ჩარიცხვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 1.1.1 სტუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანების, ჩასარიცხი პირის რეგისტრაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და სწავლების საფასურის გადახდა) და აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) რეგისტრაციის გავლის საფუძველზე, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- 1.1.2 აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი აბიტურიენტების ჩარიცხვა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სტუ-ში განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში, ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.
- 1.1.3 აბიტურიენტთა ხელშეწყობის მიზნით სტუ-ში სწავლა, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით (იხ. პპ. 1.5-1.10).
- 1.2 მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება „საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების და მაგისტრატურის შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2007 წლის №4 დადგენილების შესაბამისად.
სტუ-ს მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- 1.2.1 მაგისტრატურაში ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა მაგისტრატურაში მისაღები საერთო-სამაგისტრო და საუნივერსიტეტო სპეციალობის გამოცდების შედეგების მიხედვით შედგენილი რანჟირების დოკუმენტისა და მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ. აღნიშნული აქტი იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ამავე პუნქტში მითითებული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებებს, სტუ-ში არ ჩარიცხება და მის ადგილს დაიკავებს რანჟირების დოკუმენტით დაგროვებული ქულების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატი.
- 1.2.2 მაგისტრანტობის კანდიდატთა ხელშეწყობის მიზნით სტუ-ში სწავლა საერთო-სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით (იხ. პპ. 1.5-1.10).
- 1.3 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

- 1.3.1 დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხორციელდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად. დოქტორანტურაში ჩარიცხული პირი ვალდებულია ჩარიცხვის შესახებ რექტორის სამართლებრივი აქტის გამოსვლიდან 1 კვირაში გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია.
- 1.4. პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე; (29.10.2014 №1313)
- 1.4.1. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.
- სტუ-ს მიერ ორგანიზებული ტესტირების შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურებზე.
- ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დადგენილი წესით ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე.
- სტუ-ს მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დადგენილ დამატებით მოთხოვნებს და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე.
- სტუ-ს რექტორი ტესტირების დაწყებამდე განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს. (29.10.2014 №1313)
- 1.4.2. სტუ-ს რექტორი „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 24-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და მითითებული დოკუმენტების წარდგენიდან 2 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან (ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი ქმედუნაროა/შეზღუდულ ქმედუნარიანია მის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან) აპლიკანტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად/შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის შესახებ. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს სტუ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის ვადაში ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
- სტუ-ს მიერ ორგანიზებული ტესტირების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტების განაწილების მიზნით, აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის/ქულების გათვალისწინებით სტუ ქმნის და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ განსაზღვრული ფორმით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას შესათანხმებლად წარუდგენს რანჟირების დოკუმენტს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა რანჟირების დოკუმენტის წარდგენიდან 5 დღის ვადაში ამოწმებს რანჟირების დოკუმენტის სისწორეს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ თანხმობის მიღების შემთხვევაში სტუ-ს რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს რანჟირების დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტი დამოწმებულ უნდა იქნეს სტუ-ს რექტორის ბეჭდითა და ხელმოწერით.(29.10.2014№1313)

1.4.3. პროფესიულსტუდენტს, რომელიც „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 24-ემუხლისპირველიპუნქტითგათვალისწინებულირანჟირებისდოკუმენტის საფუძველზე, ცენტრისმიერორგანიზებულიტესტირებისშედეგადჩარიცხებაიმპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისპირველადსაფეხურზე, რომელზეცვაუჩერულიდაფინანსებისუფლებისმქონეპროფესიულისტუდენტებისრაოდენობაანაკლებიახუთზედაგადალახავსვაუჩერულიდაფინანსებისათვისჩარიცხვისშესაბამისწელსმოქმედკანონმდებლობითდადგენილიმინიმალურიკომპეტენციისზღვარს, უფლებააქვს:

ა) სტუ-ს მიერგანსაზღვრულიწესისშესაბამისადგადავიდესერთიდაწესებულებიდანსხვადაწესებულებაში „ეროვნულისაკვალიფიკაციოჩარჩოსდამტკიცებისშესახებ“ საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნბრძანებითგათვალისწინებულიიმპროფესიულსპეციალიზაციაზესწავლისგაგრძელების მიზნით, რომელზეცსწავლობდაიგიმობილობისგანხორციელებადა;

ბ) სტუ-ს მიერგანსაზღვრულიწესისშესაბამისადისარგებლოსშიდამობილობითმისმიერჩაბარებულიპროფესიულიუნარებისტესტისადასაგნის/საგანთაჯგუფისშესატყვისსხვაპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისპირველადსაფეხურზე;

გ) შეიჩეროსპროფესიულისტუდენტისსტატუსიდაშეინარჩუნოსმისმიერმოპოვებულისამართლებრივიმდგომარეობა.ამშემთხვევაში, პროფესიულსტუდენტს, პროფესიულისტუდენტისსტატუსიალუდგებაპირადიგანცხადებისსაფუძველზე, ცენტრისმიერორგანიზებულიშემდგომიტესტირებისსაფუძველზეჩარიცხულიპროფესიულისტუდენტებისმიერსწავლისდაწყებისთანავე.(25.07.2015 №1647)

1.4.4. პროფესიულსტუდენტს, რომელიც „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 24-ემუხლისმე-6 პუნქტითგათვალისწინებულირანჟირებისდოკუმენტისსაფუძველზე, სტუ-ს მიერორგანიზებულიტესტირებისშედეგადჩარიცხებაიმპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისშემდგომსაფეხურზე, რომელზეცვაუჩერულიდაფინანსებისუფლებისმქონეპროფესიულისტუდენტებისრაოდენობაანაკლებიახუთზედაგადალახავსვაუჩერულიდაფინანსებისათვისჩარიცხვისშესაბამისწელსმოქმედკანონმდებლობითდადგენილიმინიმალურიკომპეტენციისზღვარს, უფლებააქვს:

ა) სტუ-ს მიერგანსაზღვრულიწესისშესაბამისადგადავიდესერთიდაწესებულებიდანსხვადაწესებულებაში „ეროვნულისაკვალიფიკაციოჩარჩოსდამტკიცებისშესახებ“ საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნბრძანებითგათვალისწინებულიიმპროფესიულსპეციალიზაციაზესწავლისგაგრძელები მიზნით, რომელზეცსწავლობდაიგიმობილობისგანხორციელებადა;

- ბ) სტუ-
სმიერგანსაზღვრულიწესისშესაბამისადისარგებლონშიდამობილობითმათმიერჩაბარებულიგ
ამოცდისშესატყვისსხვაპროფესიულისაგანმანათლებლოპროგრამისშემდგომსაფეხურზე;
- გ) შეიჩრონპროფესიულისტუდენტისსტატუსიდაშეინარჩუნონმათმიერმოპოვებულისამართლ
ებრივიმდგომარეობა.ამშემთხვევაში,
პროფესიულსტუდენტს,პროფესიულისტუდენტისსტატუსიალუდგებაპირადიგანცხადებისსა
ფუძველზე, სტუ-
სმიერორგანიზებულიშემდგომიტესტირებისსაფუძველზეჩარიცხულიპროფესიულისტუდენ
ტებისმიერსწავლისდაწყებისთანავე.(25.07.2015 №1647)
- 1.4.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, აპლიკანტისტესტირებისა და
ჩარიცხვის წესი განისაზღვრებაპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად
საფეხურის ანალოგიურად.(25.07.2015 №1647)
- 1.4.5¹. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე
პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები
მუდუღებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღევის გარეშე.
(30.04.2017 №2398)
- 1.5. აბიტურიენტებმა/მაგისტრანტობის კანდიდატებმა/სტუდენტებმა, რომლებსთვისაც
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დასაშვებიაერთიანი ეროვნული
გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, სტუ-ში სწავლის
გაგრძელების მიზნით განცხადებით უნდა მიმართონ სტუ-ს რექტორს წერილობითი
თანხმობის მისაღებად. განცხადებაშიპირის მონაცემებთან (სახელი, გვარი, პირადი ნომერი,
მოქალაქეობა) ერთად მითითებული უნდა იყოს ფაკულტეტი, სწავლების საფეხური,
პროგრამის/სპეციალობის დასახელება, სწავლების ენა. (21.05.2013 №926)
- 1.6.განცხადებას უნდა დაერთოს პირველ დანართში ჩამოთვლილი დოკუმენტები.(21.05.2013
№926)
- 1.7.უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და
დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. დასაშვებია ნოტარიუსის მიერდამოწმებული თარგმანის
ასლების წარმოდგენა.(21.05.2013 №926)
- 1.8. შესაბამისი კომისია გაეცნობა წარმოდგენილ განცხადებასადა თანდართულდოკუმენტებს და
გაესაუბრება აბიტურიენტს/მაგისტრანტობის კანდიდატს. კომისიის გადაწყვეტილებით,
პირის მიერ სასწავლო პროცესში მონაწილეობის უნარის დასადგენად, შესაძლებელია მას
ჩაუტარდეს ტესტირება.(21.05.2013 №926)
- 1.9. გასაუბრების/ტესტირების დადებითი შედეგის შემთხვევაში კომისიის რეკომენდაციით
გაიცემა რექტორის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში
არსებულ ვაკანტურ ადგილზე აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის
მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და ფაკულტეტის/სპეციალობის
მითითებით).(21.05.2013 №926)
- 1.10.პირი, რომელიც ამ მუხლის 1.9 პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით თანხმობას
მიიღებს, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული
გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე
აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების
წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნბრძანების თანახმად უფლებამოსილია
შესაბამის ვადებში განცხადებით მიმართოსსაჯარო სამართლის იურიდიულ პირს –
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დასაქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს.მინისტრის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების

შემთხვევაში, აღნიშნული ბრძანებით დადგენილ ვადაში სტუ-ს რექტორი ახდენს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის ჩარიცხვას ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ მიზნით ჩარიცხვა შეიძლება განხორციელდეს სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირისა. (21.05.2013 №926)

- 1.11. პირველი მუხლის მე-10 პუნქტში მითითებული პირი, რომელიც არასაკმარისად ფლობს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენას, გავლის ერთ დამატებით სასწავლო წელს (60 კრედიტს), რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთი ან რამდენიმე ენის სათანადო დონეზე შესწავლისათვის. (13.09.2013 №963)
- 1.12. სტუ უფლებამოსილია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის დააწესოს განსხვავებული სწავლის საფასური. იგივე პირობები ვრცელდება სტუ-ში მობილობით გადმოსულ სტუდენტებზე, რომლებმაც საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი მოიპოვეს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე. (29.07.2016 №2119)

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინენტის და აკადემიური ჯგუფების ფორმირება

- 2.1 სტუ-ში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან ათი დღის ვადაში ფაკულტეტის დეკანი სწავლების დეპარტამენტში წარადგენს ინფორმაციას სწავლების პირველ წელზე ჩარიცხულ სტუდენტთა შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) აღნიშნული აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
- 2.2 სტუ-ში სტუდენტების ჩარიცხვასთან ერთად ხორციელდება აკადემიური ჯგუფების ფორმირება. აკადემიური ჯგუფი შეიძლება იყოს ძირითადი ან არჩევითი .
 - ძირითადი ჯგუფი იქმნება „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშების და განაწილების ინსტრუქციის“ შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. ძირითადი ჯგუფი იქმნება სწავლების პირველი წლიდან, თუ ფაკულტეტზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სხვა შემთხვევაში კი – ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული წესით.
 - არჩევითი ჯგუფი იქმნება რომელიმე არჩევითი საგნის/მოდულის/დამატებითი სპეციალობის შესწავლის მიზნით.
 - სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლის მიზნით, ახალი დროებითი ჯგუფი იქმნება იმ შემთხვევაში, თუ ფაკულტეტზე არსებული რომელიმე ძირითადი ან არჩევითი ჯგუფი არ იძლევა სტუდენტების დამატების საშუალებას .
- 2.3 სტუ-ში უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანი არის ნებაყოფილობითი; არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის შესაბამის ჯგუფებში სტუდენტების განაწილების სიები გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილზე. დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური დეპარტამენტები გამოყოფენ თანამშრომლებს, რომლებიც სტუდენტებს მიაწოდებენ საჭირო ინფორმაციას, გაუწევენ კონსულტაციებს და დაეხმარებიან მათ თავიანთი პროფილის განსაზღვრაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. ბაკალავრიატში არჩევანის განხორციელების პირობები მოცემულია დოკუმენტში „სტუ-ში ბაკალავრიატის სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი“. (01.06.2012 №678)

- 2.4 არჩევითი საგნებისთვის შექმნილი ჯგუფის ნომერი განისაზღვრება ძირითადი ჯგუფის ნომრით და ქართული ანბანის ერთი ასოთი. სტუდენტი ერთდროულად შეიძლება იყოს რამდენიმე ჯგუფში, რომელთაგან ერთი ძირითადია, დანარჩენი (მათ შორის დამატებითი სპეციალობის) – არჩევითი.
- 2.5 სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისას დეკანატი თითოეულ სტუდენტზექმნის პირად საქმეს.
- 2.5.1 პირად საქმეში უნდა იყოს:
- სტუდენტის პირადი ბარათი;
 - სტუდენტის სასწავლო ბარათი;
 - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული, შესაბამის ფაკულტეტზე ჩარიცხვის სერტიფიკატი (დედანი) – ბაკალავრიატი;
 - საერთო-სამაგისტრო გამოცდების შედეგების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი (დედანი) და სტუ-შისპეციალობის მისაღებ გამოცდებზე შესრულებული წერილობითი ნამუშევრები – მაგისტრატურა;
 - მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ, სადოქტორო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების რეკომენდაცია, სამეცნიერო პუბლიკაციების სია, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (უწყისები, ოქმები) – დოქტორანტურა;
 - საფინანსო ხელშეკრულება(მათ შორის დამატებითი, არსებობის შემთხვევაში);
 - სასწავლო ხელშეკრულებები (მათ შორის დამატებითი, არსებობის შემთხვევაში);
 - პირადობის მოწმობის ასლი;
 - დაბადების მოწმობის ასლი;
 - ოთხი ფერადი ფოტოსურათი 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
 - სამხედრო დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);
 - ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერი/დამოწმებული ასლი;
 - სტუდენტის სწავლების წლიდან მომდევნო სწავლების წელზე გადაყვანის ბრძანების ამონაწერი/დამოწმებული ასლი;
 - სტუდენტის აკადემიურ მოძრაობასთან დაკავშირებული ბრძანებების დამოწმებული ამონაწერები/ასლები.
- 2.6 სტუდენტის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს აგრეთვე სწავლის პერიოდში სტუდენტის მიერ წარმოდგენილი, სათანადოდ დამოწმებული ჯანმრთელობის ცნობები და სხვა საბუთები, სტუდენტისთვის მიცემული დახასიათებების ასლები, მისი აქტიურობის, წახალისებისა და მასზე დისციპლინური ზემოქმედების ამსახველი ინფორმაცია და სხვ.
- 2.7 კურსდამთავრებულის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს აგრეთვე კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამოწმებული ამონაწერები/ასლები.
- 2.8 სტუდენტის პირადი ბარათში უნდა იყოს შემდეგი რეკვიზიტები:
- სტუდენტის სახელი და გვარი;
 - პირადი ნომერი;
 - დაბადების თარიღი;
 - საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი;
 - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების მონაცემები.

მუხლი 3. სტუდენტთა მობილობა

- 3.1 სტუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის „უმაღლესი საგანმანათლებლო

- დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების და ამ ინსტრუქციის შესაბამისად.
- 3.2 სტუდენტთა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) სხვა დაწესებულებაში გადასვლის (შემდგომში – მობილობა) პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).
 - 3.3 მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
 - 3.4 მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი.
 - 3.5 მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
 - 3.6 მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
 - 3.7 სტუდენტის მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში.
 - 3.8 სტუ უფლებამოსილია, აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში ელექტრონულ პორტალზე დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები სწავლების საფეხურებისა და ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.
 - 3.9 მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის შედეგად.
 - 3.10 სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არა უმეტეს 5 ფაკულტეტისა ან საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე ფაკულტეტსა ან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას, იგი ვალდებულია განსაზღვროს მათი პრიორიტეტულობა. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება სტუ-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.
 - 3.11 მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი დაწესებულების ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით, ცენტრის მიერ დადგენილი წესით.
 - 3.12 მობილობის მსურველთა ერთიანი სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამისი ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება, ქვეყნდება ცენტრის ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს სტუ-ს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები.
 - 3.13 მობილობის მსურველი, რომელიც სტუ-ს მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით სტუ-ს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან

- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 3.14 სტუ ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
 - 3.15 აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
 - 3.16 შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად. დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით.
 - 3.17. სტუ უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. სტუ უფლებამოსილია აგრეთვე დაადგინოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობა შეფასების სხვა სისტემასთან (იხ. დანართი 2). (17.04.2014 №1126)
 - 3.18 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენს დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარება.
 - 3.19 სტუ უფლებამოსილია, გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.
 - 3.20 აღიარება ფორმდება მიმდებარე კულტურაზე შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით (დასკვნით). კომისია იქმნება ფაკულტეტზე დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შემადგენლობით; კომისიის გადაწყვეტილებას ამოწმებს სწავლების დეპარტამენტის უფროსი და ამტკიცებს სტუ-ს რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. დასკვნაში მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ს პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.
 - 3.21 სტუ, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.
 - 3.22 სტუ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს, რომლის საფუძველზეც ცენტრი, სათანადო შემოწმების საფუძველზე, გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ.
 - 3.23 ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, გამოიცემა სტუ-ს ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ.
 - 3.24 სტუ-ს ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში –1 ოქტომბრამდე შემოდგომის და 1 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის მიერ აისახება რეესტრში.
 - 3.25 ამავე ვადაში სტუდენტს გამომწვებ დაწესებულებაში წარსადგენად გადაეცემა მიმართვა სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტისა და პირადი საქმის გადმოცემის შესახებ; კორესპონდენციის გაგზავნიდან სამი კვირის განმავლობაში სტუ-ში წარმოდგენილ უნდა

იქნეს: საგანმანათლებლო დოკუმენტი (დედანი), რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში, დაწესებულებაში ჩარიცხვის და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანებების დამოწმებული ამონაწერები/ასლები, აგრეთვე სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტი. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია; მითითებულ ვადაში დასახელებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა ან რეგისტრაციის გაუვლელია არის ჩარიცხვის ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი.

- 3.26 თუ სტუდენტი პირად საქმესთან ერთად წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია მის მიერ ბოლო სასესიო პერიოდში სასწავლო კურსების ჩაბარების შესახებ, შეიძლება გაკეთდეს ახალი დასკვნა სწავლების წლის და დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების მითითებით.
- 3.27 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ დაწესებულების მიერ დადგენილი წესით. ასევე, საქართველოს კანონმდებლონით აღიარებული სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გადმოვიდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარება მოხდება საფაკულტეტო კომისიის დასკვნის დაფუძველზე (იხ. დანართი 3). (25.01.2017 №2293)

მუხლი 3¹. გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამა (29.07.2016 №2119)

- 3¹.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ვალდებულია უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სტუდენტთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარების შესახებ.
- 3¹.2 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი მოპოვებული აქვს უცხო ქვეყანაში აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე, სტუ-ს რექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.
- 3¹.3 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი უცხო ქვეყნის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას აგრძელებს ამ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 3¹.4 დაუშვებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება, მის წასვლასთან და დაბრუნებასთან დაკავშირებით გამოიცემა სტუ-ს რექტორის აქტები. საქართველოდან წასვლის პერიოდში სტუდენტს უნარჩუნდება სტუ-ს წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულება.
- 3¹.5 გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს არ ეთვლება მისთვის დადგენილ სტუდენტთა საერთო რაოდენობაში.

მუხლი 4. შიდა მობილობა

- 4.1 ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი(მათ შორის სტატუსშეჩერებული) უფლებამოსილია სტუ-ს ფარგლებში შეიცვალოს სპეციალობა.(06.07.2012 №727)
- 4.2 შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. დაუშვებელია შიდა მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- 4.3 შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სწავლების პირველი წლის სტუდენტს, გარდა საქართველოსტექნიკურუნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე გადამსვლელი სტუდენტისა, წარმოეშობა სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ.სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.(10.08.2017 №2541)
- 4.4 შიდა მობილობა ხორციელდება სტუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში.
- 4.5 ფაკულტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან შიდა მობილობის მსურველი პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ 3.20 პუნქტის ანალოგიურად.
- 4.6 შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება სტუ-ს რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 5.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუ-სა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
- 5.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
- პირადი განცხადება;
 - აკადემიური შვებულება;
 - ავადმყოფობა;
 - უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
 - ფინანსური დავალიანება;
 - სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
 - სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.
- 5.3 სწავლების ერთ საფეხურზე სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ჯამური ვადაა 5 წელი.
- 5.4 სტატუსის შეჩერების შესახებ სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს სტუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს ექვსი კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, იგი კარგავს მის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების ან მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.
- 5.5 სტუდენტი, რომლის დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ამ ინსტრუქციის 3.1 პუნქტში მითითებული ბრძანებით მიიჩნევა სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად და მასზე ვრცელდება შესაბამისი წესით დადგენილი პირობები.
- 5.6 აკადემიური უმაღლესი ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუ აღნიშნული პროგრამის სტუდენტს დაეხმარება უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა პროგრამის შერჩევაში, ხოლო მის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლაზე სურვილის გამოთქმის შემთხვევაში – დაწესებულებისა და პროგრამის შერჩევაში.(07.10.2016 №2153)

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 6.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) სტუ-ში სწავლისას 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადაში;
 - დ) პირადი განცხადება;
 - ე) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე, დანაშაულის ჩადენისათვის;
 - ვ) „სტუ-ს ეთიკის კოდექსითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით“, აგრეთვე „უნივერსიტეტის შინაგანაწესით“ გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება;
 - ზ) გარდაცვალება.
- 6.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოადგენს დეკანის მოხსენებითი ბარათი, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – შესაბამისი დოკუმენტი და დეკანის მოხსენებითი ბარათი, ხოლო „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება.
- 6.3 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივიაქტით გათვალისწინებულისამართლებრივი შედეგები დგება მისი გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად. (24.02.2012 №608)

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 7.1 თუ სტუდენტს შეუწყდა სტატუსი, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტილი პირის სტატუსის შეწყვეტიდან თორმეტი თვის განმავლობაში ითვლება სტატუსის შეჩერებულად და უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან. (24.02.2012 №608)
- 7.3 სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირს 5.3 პუნქტით მითითებულ ვადაში უფლება აქვს, მორიგი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე, განცხადებით მიმართოს რექტორს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე (გარდა სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის 5.14 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა); ასეთ პირს სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს მორიგი სემესტრის დასაწყისიდან. გარდა ამისა, თუ პირს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა უნივერსიტეტის მიერ უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით მივლინებასთან დაკავშირებით (გაცვლითი პროგრამების ფარგლებში), სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დაბრუნების შემთხვევაში მისთვის სტატუსის აღდგენა და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანა შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი განცხადების წარმოდგენისთანავე. (06.07.2012 №727)
- 7.4 სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირს სტატუსის აღდგენისას, როგორც წესი, სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი; სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზების მიზნით, სტატუსის შეჩერებულმა პირმა, სტუდენტის სტატუსის აღდგენისას, სწავლა შეიძლება გააგრძელოს განსხვავებული სემესტრიდან, „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით“ დადგენილი დამატებითი სემესტრების ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით. (27.09.2011 №529)

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

8.1 „უმაღლესისაგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების ძალაში შესვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს სტუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. პირი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ეთვლება, ასევე განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რეჟიმში სწავლის შეწყვეტიდან 10 წლის განმავლობაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 17 ივნისს, დადგენილება №482 (ცვლილებები 27.09.2011 №529, 24.02.2012 №608, 01.06.2012 №678, 06.07.2012 №727, 21.05.2013 №926, 13.09.2013 №963, 17.04.2014 №1126, 15.10.2014 №1306, 25.07.2015 №1647, 02.02.2016 №1907, 29.07.2016 №2119, 07.10.2016 №2153, 25.01.2017 №2293, 30.04.2017 №2398, 10.08.2017 №2541).

დანართი 1

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს/სტუდენტების მიერ განცხადებასთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტები:

- ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ყველა გვერდის ასლი;
- ბ) უცხო ქვეყანაში ბოლო 2 წლის ან მეტი წლის განმავლობაში ცხოვრების დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:
 - ბ.ა. უცხო ქვეყანაში რეგისტრაციის დოკუმენტი;
 - ბ.ბ. საკონსულო არიციხვის დოკუმენტი;
 - ბ.გ. ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დასტურებს პირის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტს.

➤ იმ აბიტურიენტის განცხადებას, რომელმაც უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტი უნივერსიტეტის განათლებად სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელიწადის წინ უცხო ქვეყანაში, „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

➤ მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა უნდა წარმოადგინოს:

- „უმაღლესიგანათლებისშესახებ“ საქართველოსკანონის 52-ემუხლისმე-3 პუნქტითდადგენილიწესითჩარიცხვისშედეგადმიღებულიკვალიფიკაციისდამადასტურებელიდოკუმენტის – დიპლომისადადიპლომისდანართისასლები;
 - უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისრექტორისაქტი, რომელიცდასტურებსუმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებაშიპირის „უმაღლესიგანათლებისშესახებ“ საქართველოსკანონის 52-ემუხლისმე-3 პუნქტითდადგენილი წესით ჩარიცხვას.
- მოქალაქეობისარმქონეპირისგანცხადებას „ა“ პუნქტითგათვალისწინებულიდოკუმენტისნაცვლადუნდადაერთოსბინადრობისმოწმობისასლი.

დანართი2

სტუდენტის დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშების წესი, როდესაც მის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერისსისტემის შესაბამისად

1. 1 UK კრედიტი შეესაბამება 0,5 ECTS კრედიტს;
2. საკონტაქტო საათებში მოცემული სასწავლო კურსის დატვირთვის შესაბამისობა დგინდება შემდეგნაირად:
 - 1-50 საათი შეესაბამება 3 კრედიტს;
 - 51-80 საათი შეესაბამება 4 კრედიტს;
 - 81-120 საათი შეესაბამება 5 კრედიტს;
 - 121-160 საათი შეესაბამება 6 კრედიტს;
3. სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების შესაბამისობა დგინდება შემდეგნაირად:

შეფასების ადრე მოქმედი სისტემების ნიშნები/ქულები	ECTS-ისშეფასების ქულა	
ხუთბალიანი სისტემის ნიშნები	5 (ფრიადი)	91-100 (საშუალო - 96)
	4 (კარგი)	71-90 (საშუალო - 81)
	3 (დამაკმაყოფილებელი)	51-70 (საშუალო - 61)
	ჩათვლა	მიღებული დადებითი ნიშნების საშუალო არითმეტიკულის შესაბამისი ქულა
UKკრედიტების შესაბამისი შეფასებები (ქულები)	81-100 (ფრიადი)	91-100 (საშუალო - 96)
	61-80 (კარგი)	71-90 (საშუალო - 81)
	40-60 (დამაკმაყოფილებელი)	51-70 (საშუალო - 61)

4. საშუალო შეწონილი შეფასების (Grade Point Average – GPA)გამოსათვლელად თითოეული საგნის კრედიტების (საათების) რაოდენობა მრავლდება ამ საგანში მიღებული ქულების (ბალების) შესაბამის პირობით შეფასებაზე და ასეთი ნამრავლების ჯამი იყოფა კრედიტების (საათების) ჯამზე. (17.04.2014 №1126) ქულების (ბალების) შესაბამისი პირობითი შეფასებების სიდიდეები მოცემულია ცხრილებში:

ა) ECTS-ის ქულების საფუძველზე

ქულა	აღნიშვნა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA

91 - 100	A	ფრიადი	დადებითი	4,00
81 - 90	B	ძალიან კარგი	დადებითი	3,25
71 - 80	C	კარგი	დადებითი	2,50
61 - 70	D	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,75
51 - 60	E	საკმარისი	დადებითი	1,00
41 - 50	FX	ვერ ჩააბარა	უარყოფითი	0,00
0 - 40	F	ჩაიჭრა	უარყოფითი	

ბ) UK კრედიტების შესაბამისი ქულების საფუძველზე

ქულა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
81 - 100	ფრიადი	დადებითი	4,0
61 - 80	კარგი	დადებითი	2,5
40 - 60	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,0
0 - 39	არადამაკმაყოფილებელი	უარყოფითი	0,0

ბ) 5-ბალიანი შეფასებების საფუძველზე

ბალი	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	პირობითი შეფასება GPA
5	ფრიადი	დადებითი	4,0
4	კარგი	დადებითი	2,5
3	დამაკმაყოფილებელი	დადებითი	1,0
2	არადამაკმაყოფილებელი	უარყოფითი	0,0

დანართი 3

პროფესიული სტუდენტის მობილობა

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს და მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სტუ-ს რექტორი.

2. სწავლების დეპარტამენტის უფროსი ფაკულტეტების მოთხოვნათა საფუძველზე რექტორს წარუდგენს წინადადებას მობილობით პროფესიული სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრაზე, იმ პროგრამების მითითებით, რომელზეც მიზანშეწონილია პროფესიულ სტუდენტთა მიღება. პროფესიული სტუდენტების მიღებისათვის თავისუფალი ადგილების რაოდენობა, მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (მათ შორის საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში), აგრეთვე განცხადებების მიღებისა და განხილვის ვადებიმტკიცდება სტუ-ს რექტორის ბრძანებით, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის დროისათვის წარმოადგენს კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს.
4. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დადგენილ ვადაში სტუ-ში შეიტანოს შესაბამისი განცხადება, აგრეთვე წარადგინოს ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.
5. მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
6. მობილობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
7. მობილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
8. პროფესიული სტუდენტის მობილობით გადმოყვანა და ჩარიცხვა ფორმდება სტუ-ს რექტორის ბრძანებით.